ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N7

სხდომის ჩატარების დრო:

25 მაისი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეშვიდე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 33 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: რ.ქვაჩაკიძე და ნ.ჩიკვაშვილი.

სულ: 2 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი, ი.უგულავა და ი.ქარქაშაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღების, საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი ი.გიორგაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ბატონი გ. ნიკოლაიშვილი, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ გაკეთდა **განცხადებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები ქალაქის მერს, აღმასრულებელ ხელისუფლებას, სამსახურების ხელმძღვანელებს, დამსწრე საზოგადოებას, სტუმრებს, მათ შორის, კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, მედიის წარმომადგენლებს. დღეს ნამდვილად მნიშვნელოვანი სხდომა გვაქვს საკითხების მგრძნობელობიდან გამომდინარე და მიხარია, რომ ინტერესი ამ საკითხების მიმართ მაღალია. პირველ რიგში, მინდა დავიწყო იმით, რომ ხვალ, ჩვენ ერთად აღვნიშნავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქში დაგეგმილია ბევრი ღონისძიება და ჩემი თხოვნაა ქუთაისის ყველა მოქალაქე შემოუერთდეს ამ ღონისძიებებს და ერთად აღვნიშნოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. ჩვენი ქვეყანა არის ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიც არის ძალიან ბევრი გამოწვევა. ძალიან ბევრი საკითხი, რომელსაც ერთმანეთის თანადგომითა და მხარდაჭერით სჭირდება დაძლევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაცია და კანდიდატის სტატუსის მინიჭება. ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხის ირგვლივ გვქონდეს ერთიანი პოზიცია, რათა მივიღოთ ეს სტატუსი და გაგრძელდეს რეფორმირების გზით ქვეყნის მშენებლობა. ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციას და გაერთიანებას დასავლურ სტრუქტურებში ექნება თავისი აღნიშვნა და შესაბამისი რეაგირება. ჩვენი ქვეყანა დგას ბევრი გამოწვევის წინაშე, მაგრამ ის პროგრესი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ასოცირების შეთანხმებით, სხვადასხვა რეფორმებით, განხორციელდა სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიზაციისა და გამყარების მიმართულებით, იყო მნიშვნელოვანი და რა თქმა უნდა, ის ფასეულობა, რომელიც ჩვენ გვაერთიანებს, გვიმყარებს ჩვენს პოზიციებს, რომ ჩვენი ქვეყანა მიაღწევს წარმატებებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „დღეს მართლაც მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება და განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა კულტურის განვითარების სტრატეგიას, რომელიც მომზადდა 6 თვის

განმავლობაში. იგი დღეს წარედგინება საკრებულოს იმისათვის, რომ ჩვენს ქალაქს ჰქონდეს უფრო მეტი განვითარების საშუალება. ხვალ, საგარეო საქმეთა სამინისტრო გახლავთ ერთდროულად ჩვენი სტუმარიც და მასპინძელიც, ვინაიდან, სწორედ ეს სამინისტრო უკეთებს ორგანიზებას ამ ღონისძიებას მერიასთან ერთად. ძალიან კარგი ექსპოზიციები იქნება წარმოდგენილი და მინდა მოვუწოდო ჩვენს მოქალაქეებს, რომ მობრძანდნენ და ისიამოვნონ საინტერესო ღონისძიებებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ა.კოხრეიძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „მესხიშვილის თეატრის რეპერტუარში ჩაისვა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით დადგმული საბავშვო სპექტაკლი „წუნა და წრუწუნა". მასში მონაწილეობენ თეატრის წამყვანი მსახიობები, მათ შორის, ჩვენი ვარსკვლავი, ქალბატონი ლამარა ვაშაკიძე და საბავშვო სტუდიის 23 მოსწავლე. ალბათ, არ დარჩენილა ქალაქში სკოლა, რომელსაც არ ენახა ეს სპექტაკლი. ბავშვები და მსახიობები ეცნობოდნენ ერთმანეთს, მათ თანატოლ პატარა მსახიობებს, რომლებთან ერთადაც იღებდნენ ფოტოებს და შემოქმედებითი ემოციებით დატვირთულნი ტოვებდნენ თეატრს. მოგეხსენებათ, რომ ორწლიანმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ ყველანი სახლში ჩაგვკეტა. ამან სტრესულ მდგომარეობაში ჩააგდო მოზარდები, რომლებიც მიეჯაჭვნენ ინტერნეტ სივრცეს. მიმაჩნია, რომ ეს დადებითად არ აისახება მათ ჯანმრთელობაზე. გახდნენ ჩაკეტილები და ირეალურ სამყაროში იმყოფებიან. ვთვლი, რომ ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. მინდა შემოვიდე წინადადებით, რომ ქალაქის მერის თანადგომით მოხდეს თეატრში ახალი სპექტაკლის, სენტ ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის" დადგმა. მივმართავ ქალაქის მერს, რომ თუკი თქვენთვის ეს იქნება პრიორიტეტული, მოხდეს სპექტაკლის დაფინანსება. ჩვენი თხოვნაა იქნებ მოხერხდეს, რომ სექტემბრიდან დავიწყოთ ამაზე მუშაობა. ჩვენ ხშირად გვქონია კამათი, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ თქვენ ეხმარებით თეატრს და აძლევთ გარკვეულ თანხას, მაგრამ გთხოვთ გაითვალისწინოთ თუ რა იქნება კარგი ბავშვებისთვისაც. „წუნა და წრუწუნა" თითქმის ყველა სკოლას აქვს ნანახი და მისი აღდგენა იმდენად ძვირი დაჯდება, რომ აჯობებს ახალი დაიდგას."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „დიდი სიამოვნებით. ჩვენ თეატრისთვის გამოყოფილი გვაქვს თანხა. თქვენი შიდა სამზარეულოა რას დადგამთ. თუ გნებავთ „დაჩის ზღაპრები“ დაიდგას, ეს თქვენი გადასაწყვეტია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გ.კილაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით იმ ქართველ ბიჭებს, რომლებიც უკრაინაში იბრძვიან. დამოუკიდებლობა ვერ წარმომიდგენია სიტყვის თავისუფლების გარეშე, ამიტომ მინდა ჩემი და ჩემი გუნდის სახელით მხარდაჭერა გამოვუცხადო მთავარი არხის მედეა-მენეჯერს ნიკა გვარამიას.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ 2022 წლის 25 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტს მე-12 ნომრად დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“ ამასთან, შეიცვალა დღის წესრიგის პროექტის მე-14 საკითხის წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირი, კერძოდ, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის, ქალბატონი ეკა გრიგოლაშვილის ნაცვლად საკითხის წარმომდგენ პირად განისაზღვრა ამ სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი გუგა ნიკოლაიშვილი)**,** ცვლილებებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

9. ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

10. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

11. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

12. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

13. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ირაკლი გიორგაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული
განყოფილების ხელმძღვანელი

14. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი გუგა ნიკოლაიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის
ხელმძღვანელის მოადგილე

15. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი პეტრე ადამაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული
სამსახურის ხელმძღვანელი

16. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, ამ კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის განცხადების ცნობად მიღებისა და მისთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

17. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

18. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

19. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ქალბატონი თეა ჯუღელი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს მე-7 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რ.ქვაჩაკიძე, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 26 წევრი, წინააღმდეგი: 5 წევრი, ქალბატონები: ხ.არველაძე, ნ.ბიბილეიშვილი, ბატონები: ბ.ბრეგაძე, გ.კილაძე, კ.გაბუნია. კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა დ.ბახტაძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის:**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ**.

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „პირველ რიგში მინდა მოგილოცოთ ხვალინდელი დღე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე საქართველოს ისტორიაში, რომელსაც სჭირდება გაფრთხილება. ბევრი ადამიანი შეეწირა თავისუფლებისთვის ბრძოლას, მის დაცვას და სამწუხაროდ, ვფიქრობ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა კიდევ დიდხანს დასჭირდება ჩვენს ქვეყანას. იცით, რომ ეს პირდაპირ უკავშირდება აგრესორს, რომელიც ჩვენი მოსაზღვრეა. საქართველოს, ისე, როგორც არასდროს, აქვს შესაძლებლობა გავიდეს იმ კარში, რომელიც გმირული ბრძოლით გახსნეს უკრაინელებმა ევროპაში. ჩვენ, შთამომავლობა არ გვაპატიებს, რომ ეს შანსი არ გამოვიყენოთ და ეს კარი თუ დაიხურა, ათწლეულების განმავლობაში შეიძლება უამრავი თაობა დარჩეს ისევ ჭაობში. რაც შეეხება აღნიშნულ საკითხს, მინდა ჩემი მოსაზრებები რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ერთიანად წარმოგიდგინოთ. ეს რეორგანიზაცია, ისევე როგორც წინა, ვერ იქნება ეფექტური, ვინაიდან, მისი მოტივატორი არ არის მერიის ეფექტურობის გაზრდა. თქვენ კარგად გახსოვთ აქ როგორი დავა მიმდინარეობდა კულტურის სამსახურის გაუქმებაზე, ისევე როგორც არქიტექტურის სამსახურის გაუქმებაზე და მაშინაც და ახლაც მომხსენებელი ერთი და იგივე იყო. ჩვენ ვსაუბრობდით, რომ შეუძლებელი იყო ქალაქის მერი არ აწერდეს ხელს ნებართვებს და არ იყოს პასუხისმგებელი ქალაქის განვითარებაზე, სივრცით მოწყობაზე. მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი ქალბატონი რუსუდანის კომპეტენციაში, მაგრამ სანამ კანონში არ ჩაიწერა, რომ არ შეიძლება, მანამ ასე რჩებოდა. ამის გასწორებას დასჭირდა დრო, ხარჯები და შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარება დღეს გვიწევს. ამხელა ტრადიციების ქალაქში

არ შეიძლებოდა კულტურის სამსახურის გაუქმება. ამაზე კამათიც კი მიმდინარეობდა, რომ ადმინისტრაციულ სამსახურში მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების გვერდით ეფუნქციონერა კულტურის განყოფილებას. მე, როდესაც კენჭს ვიყრიდი მერობის კანდიდატად, ეს თემა საარჩევნო პროგრამაში მქონდა შეტანილი, იმდენად ნონსენსად მიმაჩნდა კულტურის სამსახურის არ არსებობა. კარგია, რომ ეს ორი სამსახური ბრუნდება, მაგრამ ამავე დროს ვთვლი, რომ შეცდომაა საბინაო ინფრასტრუქტურის სამსახურისა და კეთილმოწყობის სამსახურის გაერთიანება. ჩვენ ამით მივიღებთ დიდ მონსტრს. სხვათა შორის, ასე იყო ჩვენი ხელისუფლების დროსაც, ამან ძალიან დიდი პრობლემები წარმოშვა და მოგვიწია ისევ გაყოფა, ვინაიდან არ არსებობს ამხელა ბიუჯეტის მართვის ეფექტური მექანიზმები. ახალი აუდიტის დასკვნა იქნება უარესი და კიდევ მოგვიწევს ამაზე საუბარი. ასევე, შეცდომად მიმაჩნია ზედამხედველობის სამსახურის ცალკე გაყვანა და ახალი ააიპ-ის შექმნა. ჩვენ გვესმის არგუმენტები, რომ ეს საჭიროა ეფექტური მმართველობისთვის, შემცირდება ხარჯები, მაგრამ ჯამში მივიღეთ, რომ 25 მილიონი ლარის ნაცვლად 33 მილიონ ლარს ვხარჯავთ ხელფასებზე. მუდმივად იზრდება ეს ყველაფერი, იზრდება თანამშრომლების რაოდენობაც, მაგრამ პრობლემები პრობლემებად რჩება. მე არ ვაპირებ კამათს, ამაზე მქონდა საუბარი და ვიცი, რომ თქვენ, თქვენს აზრზე დარჩებით. ვიტყვი, რომ ეს ორი საკითხი ნამდვილად კარგია, მაგრამ ჩვენ დავკარგეთ დრო, რესურსი და ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა, რომ ეს გათვალისწინებულიყო თავის დროზე. მე ვიცი, ახლა მოვისმენ არგუმენტებს კულტურისა და არქიტექტურის სამსახურებზე, რომლებზეც ჩვენ ვკამათობდით და ვიღაცეები გვიმტკიცებდნენ, რომ ეს გადაარჩენდა ქალაქს და ჩვენ ამას პოლიტიკური მოტივაციით ვაკეთებდით. რაც შეეხება რეორგანიზაციას და თანამშრომლებს, ვთვლი, რომ არანაირ შედეგს არ გამოიღებს ახალი მერის თანაგუნდელებით, ყოფილი მერის თანაგუნდელების ჩანაცვლება. პირიქით, აქ საუბარი უნდა ყოფილიყო იმაზე, რომ 4500 თანამშრომელი არ არის საჭირო ქუთაისის სამართავად. კარგი იქნებოდა, ბატონო სოსო, ააიპ-ების თანამშრომლებისთვის მოგეთხოვათ სამუშაოთა აღწერილობა რას აკეთებენ. დარწმუნებული ვარ, ადგილს ვერ ნახავთ ქუთაისში, სადაც დაატევთ თქვენი ააიპ-ების თანამშრომლებს, რომ თათბირი ჩაატაროთ. მე პირადად მხარს დავუჭერ კულტურის

სამსახურის შექმნას და იმ შეცდომის გასწორებას, რასაც არქიტექტურის ააიპ-ის გაუქმება და მის სამსახურად დაბრუნებას შეეხება, მაგრამ კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ვიცი ეს ახალი მუნიციპალური ინსპექციის სამსახური გახდება მერიიდან გაშვებული ადამიანების თავშესაფარი ახალ-ახალი ფუნქციებით და ეს ვერ იქნება ეფექტური.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, დავაზუსტებ, რომ თქვენ თქვენს ნათქვამშიც ახსენეთ, რომ არქიტექტურის სამსახურს რაც შეეხებოდა ეს იყო კანონიდან გამომდინარე. მაშინ, როდესაც ამის საშუალება გვქონდა და გავიტანეთ როგორც ააიპი, იყო თავისი დასაბუთებით და არგუმენტაციით, თუმცა შემდეგ ორგანულ კანონში ჩაიწერა ცვლილება, რომლის გათვალისწინებითაც ჩვენ გვიწევს არქიტექტურის ააიპ-ის გაუქმება და სამსახურად ჩამოყალიბება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „კანონში ჩაიწერა, რომ ქალაქის სივრცით დაგეგმარებაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს აღმასრულებელი ორგანო. ჩვენი მთავარი არგუმენტიც სწორედ ეს იყო და სწორედ ეს ჩაიწერა ახლა კანონში. ამით კანონმა მიუთითა ყველას, რომ სხვა ვინმე არ შეიძლება იყოს ამაზე პასუხისმგებელი. დრო მაინც იწელებოდა და ნებართვების გაცემა არ დაჩქარებულა ასეთი არასწორი გადაწყვეტილებების გამო. მერი და აღმასრულებელი ორგანო უნდა იყოს პასუხისმგებელი სივრცით დაგეგმარებაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **ი.უგულავა:** „ბატონო გიგა, თუ შეგიძლიათ დაასახელოთ ერთი შემთხვევა მაინც, რომ დრო გაიწელა და დროულად არ გაიცა ნებართვა. შეგიძლიათ შეხვიდეთ შესაბამის პროგრამაში და ნახოთ მიიღეს თუ არა მათ 10 დღის განმავლობაში პასუხი, თუნდაც შუალედური. ეს რეორგანიზაცია არ ეხებოდა ააიპ-ებს და მოვლენებს ნუ უსწრებთ. რეორგანიზაცია ეხებოდა მხოლოდ მერიას და მომავალში იქნება ააიპ-ების.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონი ირაკლი კითხულობს დადგენილების პროექტს, რომელშიც არის მერიის სამსახურების ჩამონათვალი. ბატონო ირაკლი, თუ არ ვცდები, ზედამხედველობის სამსახური ამ ჩამონათვალში არ არის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „არა, ზედამხედველობის სამსახურთან დაკავშირებით დღის წესრიგში მე-13 საკითხად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“. მუნიციპალური ინსპექცია აღიჭურვება იმ უფლებებით რაც ჰქონდა ზედამხედველობის სამსახურს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჯერ გადაწყვეტილება არ არის მიღებული და თქვენ დადგენილებიდან უკვე ამოიღეთ ეს სამსახური, ასევე, დადგენილება სამსახურის შექმნაზე არ არის მიღებული და ის ამ დადგენილებაში გყავთ შეყვანილი. ჩვენ ახლა ვიღებთ დებულებას, რომელშიც ერთი სამსახური გამქრალია და მეორე რომელიც ჯერ არ შეგვიქმნია, წერია. ამიხსენით რამე ხომ არ მეშლება პროცედურულად?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ბატონო ბესო, ეს არის დღის წესრიგის გადანომრვის თემა და აქ კანონთან რაიმე შეუსაბამობა არ არსებობს. შეიძლება გადაინომროს სხვაგვარად. დადგენილების ამოქმედების თარიღად მითითებულია 28 მაისი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „იმ საკითხზე რომ უარყოფითი

გადაწყვეტილება მივიღოთ, ამ დადგენილებას რას უშვებით ასეთ შემთხვევაში, სად არის ელემენტარული ლოგიკა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხ.არველაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საკანონმდებლო ბაზის უგულებელყოფას. ჩვენ ვიცით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში პირდაპირ არის მითითებული მუხლი, რომელიც ეხება საჯარო სამსახურში რეორგანიზაციას. ეს არის 104-ე მუხლი, სადაც წერია თუ როგორ უნდა დარეგულირდეს საჯარო სამსახურში რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა თუ სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პროცესი. პირველ პუნქტში ვკითხულობთ ასეთ ჩანაწერს: „ლიკვიდაციის ან სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი წესით იღებს საამისოდ უფლებამოსილი პირი.“ ამ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის 106[1] მუხლში არის კერძო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. შესაბამისად, რეორგანიზაციის პროცესში, პირველ რიგში, საჭიროა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა და მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩატარდეს რეორგანიზაცია. ვიცით, რომ მერიაში რეორგანიზაციის პროცესი დაწყებულია 28 თებერვლის ბრძანებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შემუშავებულია სამოქმედო გეგმა. დღეს რაც ბრძანა ბატონმა ბესომ, მოწმობს იმას, რომ კანონი აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან არის დარღვეული, რაც აუცილებლად საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. აქედან გამომდინარე, ბატონო ირაკლი, გთხოვთ, ამასთან დაკავშირებით გაგვცეთ პასუხი თუ რას გულისხმობს ეს ჩანაწერი. ცოტა ძნელია თქვენი მხრიდან ამ დარღვევის აღიარება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასეა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „მე, იმ საკითხზე

ვამახვილებ ყურადღებას, რომელიც არეგულირებს რეორგანიზაციის საკითხს საჯარო დაწესებულებაში, ჩვენს შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლზე იყო საუბარი, სადაც პირველ ნაწილში მითითებულია, რომ რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შეერთების გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი. ვინ არის ეს უფლებამოსილი პირი, რომელიც იწყებს რეორგანიზაციის პროცესს? საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილებით დამტკიცებული არის პროფესიული საჯარო მოხელეების მობილობის წესი, რომლის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია: „საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი“. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი ორგანო, დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი არის მერი. რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსის 106[1] მუხლს. ამ მუხლში საუბარია არა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე, არამედ, კერძო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციაზე, ლიკვიდაციასა და დაფუძნებაზე. დღის წესრიგის მე-13 საკითხი ეხება სწორედ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების თემას, რომელზე თანხმობის მისაღებადაც არის წარმოდგენილი ეს განკარგულების პროექტი. რაც შეეხება საჯარო დაწესებულებაში რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლით, მობილობის წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ხელმძღვანელი ანუ მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო ირაკლი, ეს არ არის სასამართლო პროცესი მუხლებით რომ გველაპარაკებით. საზოგადოებისთვის გასაგები უნდა იყოს ყველაფერი. თუ შესაძლებელია, შინაარსობრივად ჩამოგვიყალიბეთ რაზე საუბრობთ და გთხოვთ გაგვცეთ პასუხი იმ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელშიც არაა

შეტანილი ის სამსახური, რომელიც არსებობს და შეტანილია ის, რომელიც ჯერ არ შეგვიქმნია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „თქვენი კოლეგისგან იყო მითითება, რომ მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაირღვა კანონი რეორგანიზაციის პროცესის დაწყების დროს. საუბარი იყო იმაზე, რომ რეორგანიზაციის დაწყებისთვის საჭირო იყო საკრებულოს თანხმობა და მოყვანილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106[1] მუხლი, სადაც საუბარია არა მერიაზე ან საჯარო დაწესებულებაზე, არამედ, საუბარია კერძო სამართლის იურიდიულ პირზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ განსხვავებას ნუ მიხსნით, სხვა რამეს გეკითხებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გრ.შუშანია:** „სხვა რამეს გეკითხებათ ბატონი ბესო, საუბარია იმაზე, რომ დოკუმენტი იყოს იურიდიულად გამართული და შეცდომის აღიარება არ არის სირცხვილი. შეგვიძლია გამოვაცხადოთ შესვენება, ჩავატაროთ ბიუროს სხდომა და ეს თანმიმდევრობა დღის წესრიგში გავასწოროთ, რათა მოვიყვანოთ კანონთან შესაბამისობაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „დღის წესრიგი დაამტკიცა ბიურომ. ეს შეიძლებოდა გასწორებულიყო კომისიის ან ბიუროს სხდომაზე. კენჭი უყარა ბიურომ წარმოდგენილ დღის წესრიგს და მე ვერაფერს ვერ შევცვლი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „პირველ რიგში მეც ვუერთდები 26 მაისის მოლოცვას. გუშინ, კომისიის სხდომაზე ითქვა, რომ საკრებულო არაფერ შუაში არ არის.

მე კითხვაც დავსვი, მაშინ, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილია, როცა რეორგანიზაცია ჩატარებულია და საკრებულოზე შემოტანილია ქალაქის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რისთვის შევდივართ საკრებულოს სხდომაზე. თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ საკანონმდებლო ორგანოს. თქვენ, როცა გინდათ მაშინ ჩაატარებთ რეორგანიზაციას და რა შუაშია საკრებულო?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „თქვენ ჩემ სიტყვებს აძლევთ არასწორ ინტერპრეტაციას. კომისიის სხდომაზე მე ვთქვი, რომ მერიაში რეორგანიზაციის დაწყებასთან არანაირ კავშირში არ არის საკრებულო, მაგრამ რეორგანიზაცია ვერ დასრულდება, სანამ საკრებულო არ დაამტკიცებს სამსახურების დებულებებს, საშტატო ნუსხასა და სტრუქტურას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მაშინ, ჩვენ რას ვაკეთებთ თუ ყველაფერი ბატონ სოსოზეა. თქვენ ამბობთ, რომ მთავრობის დადგენილებაა და თქვენ არაფერ შუაში ხართ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „კიდევ ვმეორდები, რეორგანიზაცია ვერ დასრულდება, სანამ საკრებულო არ დაამტკიცებს სამსახურების დებულებებს, საშტატო ნუსხასა და სტრუქტურას. ასე, რომ საკრებულოს ბერკეტი გაქვთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „10 წუთია რაც დავიწყეთ სხდომა, უკვე სამი შეცდომა ვიპოვეთ და კიდევ მე მედავებით?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -

იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „რომელ სამ შეცდომაზე გვესაუბრებით ბატონო კახა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ბ.მახარაძე:** „მოგესალმებით, ყველას გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს. ეს შეთანხმებულია კომისიის სხდომაზე და ჩვენ, ჩვენს სათქმელს ვიტყვით, როდესაც კენჭისყრაზე დადგება საკითხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კ.გაბუნია** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ყველაფერს ისე აკეთებთ როგორც გინდათ. გამოდით ბატონო სოსო დილის შვიდ საათზე ქალაქში. ნაგვის ურნა აღარაა ქალაქში, გატენილი რომ არ იყოს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო ირაკლი, გთხოვთ დეპუტატების კითხვებს დებულების ნაწილში, თუ რატომ არ არის ზედამხედველობის სამსახური შეტანილი დღის წესრიგში, გასცეთ პასუხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა რეორგანიზაცია და რეორგანიზაციის მსვლელობის პროცესში გადაწყდა ზედამხედველობის სამსახურის გაუქმება და მის ნაცვლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნება. ასევე, საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის შერწყმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურთან, ასევე, მოხდა კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის შექმნა. შესაბამისად, დადგენილების პროექტში წარმოდგენილია ის სამსახურები, რომლებიც 28 მაისიდან იფუნქციონირებს მერიაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი **გ.შუშანია:** „ჩვენ ვდავობთ

ელემენტარულ თანმიმდევრობაზე. ამის მოწესრიგებას სჭირდება ელემენტარული რამ. გამოვაცხადოთ 5 წუთიანი შესვენება, იურიდიულად გავასწოროთ დოკუმენტი და დავუბრუნდეთ განხილვას, რომ მართალი ვიყოთ ჩვენ თავთან. ბატონმა ირაკლიმ წარმოადგინა საკითხი, მაგრამ ის ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ჩატარდეს ბიურო და შეიცვალოს დღის წესრიგი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ახლა რომ მოგვყავს კანონთან შესაბამისობაში, თქვენ გინდათ თქვათ, რომ აქამდე არსებული ააიპ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონშეუსაბამო იყო? მიზანში წერია მხოლოდ ეს და საერთოდ არაფერი წერია იმ კულტურის სამსახურის შესახებ, რომლის შექმნასაც აპირებთ და იმ სამსახურების შესახებ, რომლების შერწყმასაც აპირებთ. განმარტებით ბარათში მინიმუმ ახსნილი უნდა იყოს მიზანი და შედეგი რა ხდება და როგორ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ააიპ-ის შექმნის პროცესში არსებობდა ამის სამართლებრივი საფუძველი და ააიპი სრულიად კანონიერად შეიქმნა, თუმცა შემდეგ ძალაში შევიდა არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსი, რომელშიც განხორციელდა ცვლილებები და ჩაიწერა, რომ „სამშენებლო ნებართვის გამცემი უნდა იყოს ან აღმასრულებელი ორგანო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი“, სწორედ ამან წარმოშვა აუცილებლობა, რომ ნაცვლად ააიპ-ისა, შეიქმნას სამსახური სივრცითი დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კანონში ცვლილებები, რომელთან შესაბამისობაშიც მოგყავთ, არჩევნებამდე შევიდა თუ არჩევნების მერე?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის -

იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „შეგიძლიათ შეხვიდეთ „matsne.gov.ge-ზე“ და ნახოთ როდის შევიდა კანონი ძალაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მანამდეც ასე იყო კანონში და უკანონობას აკეთებდით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **მ.ჭოხონელიძე** (პარტია „ქართული ოცნება“)**:** „წინასწარ მოგილოცავთ ხვალინდელ დღეს, წარმატებას ვუსურვებ მთელ საქართველოს და თითოეულ ჩვენგანს. ეს საკითხი განვიხილეთ უმრავლესობის სხდომაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი იურისტები არიან კომპეტენტურები და ყველა საკითხი სკურპულოზურადაა განხილული. შემოვდივარ წინადადებით, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს. აქ, როგორც ვხვდები, კამათი არ დასრულდება და თუ რამე სადაოა, გაგრძელდეს სასამართლოში. ჩვენ რამდენ ხანსაც არ უნდა ვისაუბროთ, ვერ შევთანხმდებით“.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მე პრინციპულად არ ჩავერთე ამ დისკუსიაში. ვინაიდან ვთვლი, რომ იმ კითხვებს, რომლებიც დაისმება ჩვენი ოპონენტების, საკრებულოს დეპუტატების მხრიდან უნდა გაეცეს პასუხი. დღის წესრიგს რაც შეხება, ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხი და დავამტკიცეთ ბიუროზე, თქვენ შეგეძლოთ თქვენი შენიშვნა დაგეფიქსირებინათ მისი დამტკიცების პროცესში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „არ ვარ ბატონო ირაკლი, ბიუროს წევრი და შენიშვნას ვერ შევიტანდი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „დღის წესრიგი არის კანონის იერარქიით დაწყობილი. მოგეხსენებათ, აქ არის დადგენილებები და ინდივიდუალური აქტები, რომლებიც ჩამოყალიბებულია თავისი შესაბამისობით. დადგენილებას ძალაში შესვლის თარიღი სხვა აქვს და ინდივიდუალურ აქტს სხვა. რაც შეეხება დადგენილების პროექტში კონკრეტული სამსახურების შეყვანა არ

შეყვანის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ სამსახურს გააჩნიათ შესაბამისი დასკვნები. პასუხისმგებლობა, შესაბამისად, არის საკრებულოზე. ჩვენ ვიღებთ ამ პასუხისმგებლობას და იმ განმარტებიდან გამომდინარე, რომელიც მე თქვენ მოგეცით, ვაგრძელებთ საკრებულოს სხდომას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.მესხი, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 13 წევრი, ქალბატონები: ხ.არველაძე, ქ.ხურციძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ფხაკაძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ბატონები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, დ.ბახტაძე, ბ.ბრეგაძე, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ბატონმა კ.გურულმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N21 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N21** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული**

ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; დადგენილების პროექტის პირველი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დასაწყისში ჩაემატა ფრაზა: „დადგენილების N1 დანართის“; დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გასწორდა ქვეპუნქტების დანომვრაში დაშვებული შეცდომა, კერძოდ, „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ, აღნიშნული პუნქტი გადაინომრა თავიდან“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „იგივე კითხვას დავსვამ, ოღონდ, უკვე ამ საკითხთან დაკავშირებით. ვაუქმებთ საბინაო სამსახურს და ვუერთებთ ეკონომიკის სამსახურს. ამის გამო უნდა მივიღოთ ახალი დადგენილება ჯერ რომ არ გაგვიუქმებია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „წარმოგიდგენთ მერიის დებულების პროექტს, სადაც საბინაო სამსახური აღარ არსებობს, ესე იგი გაუქმებულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „წინა დადგენილება ძალაში შედის 28 მაისიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ორივე დადგენილება 28 მაისიდან შედის ძალაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „თუ ყველაფერზე სასამართლოში უნდა ვირბინოთ, მაშინ ჩავატაროთ საკრებულოს სხდომა სასამართლოში. როგორ შეიძლება ასე, მსჯელობის გარეშე გადაწყვეტა და არ გაინტერესებდეთ საღი აზრის ან ნებისმიერი აზრის მოსმენა, თუნდაც არ იყოს საღი და არ გააკეთოთ ის რაც გინდათ. არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ბატონო ბესო, საკითხების განხილვის მიმდევრობა გახდება დავის საგანი და თქვენ ფიქრობთ, რომ სასამართლო გააუქმებს ამ დადგენილებებს?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **ბ.ბრეგაძე** (პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ანუ გინდათ თქვათ, რომ სასამართლო ჯიბეში გყავთ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ჯიბე რა შუაშია. გაუქმების სხვა სამართლებრივი საფუძველი არ გაქვთ და მოიგონეთ საკითხების განხილვის მიმდევრობა. მითუმეტეს, ესწრებოდით კომისიის სხდომას და პრეტენზია არ

დაგიფიქსირებიათ. იქ საუბარი იყო რეორგანიზაციის კანონიერებაზე და დასაბუთებული პასუხი გაგეცით. დღესაც იგივე გავიმეორე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ კანონით, დღის წესრიგის მიხედვით, მათ შორის რეგლამენტით, რაც გვაქვს გათვალისწინებული საკითხები დალაგებულია იერარქიის მიხედვით. აგიხსენით, რომ საკითხებს ძალაში შესვლის ვადა ინდივიდუალურ აქტებს აქვთ სხვა და დადგენილებებს სხვა. ასევე, არსებობს დასკვნები, რომლებიც წინ უძღვის ამ პროცესებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-2 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N22 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის

№12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; დადგენილების პროექტის დანართის მე-10 მუხლის „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტები გაიმართა რედაქციულად“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 1-მა წევრმა, ქალბატონი ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-3 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N23 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N23** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: საქართველოს კანონის“; დადგენილების პროექტის მე-2 მუხლში გასწორდა ძალადაკარგულად გამოცხადებული დადგენილების სარეგისტრაციო კოდის ნომერი, კერძოდ, „N010250050.35123016222“ , შეიცვალა „N010250050.35123016420-ით“; დადგენილების პროექტის დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში ფრაზა: „ერთ-ერთი განყოფილების უფროსი“, შეიცვალა სიტყვებით; „განყოფილების უფროსი“; დადგენილების პროექტის დანართის მე-8 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „მერიის“ წინ, ჩაემატა სიტყვა: „მუნიციპალიტეტის“; დადგენილების პროექტის დანართის მე-9 მუხლის სათაურსა და პუნქტში სიტყვების: „გაწვევისა სამობილიზაციო“ ჩაემატა კავშირი: „და“ (გაწვევისა და სამობილიზაციო),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-4 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილებები იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N 24 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამხედრო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N24** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ,**

ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; დადგენილების პროექტის დანართის პირველი მუხლის მე-12 პუნქტიდან გამეორების გამო, ამოღებულ იქნა ფრაზა: „სამსახურს აქვს დებულება, დოკუმენტების სარეგისტრაციო შტამპი, ბლანკი“; დადგენილების პროექტის დანართის მე-6 მუხლში გასწორდა პუნქტების ნუმერაცია; დადგენილების პროექტის დანართის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები გაიმართა რედაქციულად; 2. დადგენილების პროექტის დანართის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტიდან ამოღებულ იქნა წინადადება: „ქალაქის მერი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები ინფორმაციებთან წვდომის უზრუნველსაყოფად, ასევე გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ხელმყოფი პირების მიმართ;“ დადგენილების პროექტის დანართის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა: „უფლებამოსილების“) ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ინსპექტირების გაუქმება რასთან იყო დაკავშირებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „ინსპექტირების გაუქმება დაკავშირებული იყო ჰარმონიზაციის ცენტრიდან მოსულ რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვითაც ინსპექტირების განყოფილება და ფუნქციები არ უნდა ყოფილიყო აუდიტის სამსახურის ფუნქციაში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე,

გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-5 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N25 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N25** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა“; დადგენილების პროექტის დანართის მე-6 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი და მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ი. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის საბჭოს წევრებისათვის ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით მიწოდებას“; დადგენილების პროექტის დანართის მე-9 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დ. დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;“ დადგენილების პროექტის დანართის მე-9 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ე. უნებართვოდ განხორციელებული მშენებლობის ლეგალიზების თაობაზე საპროექტო დოკუმენტაციის განხილვასა და ნებართვის გაცემის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-**

სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-6 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-6 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N26 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N26**
ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „1. სამსახური შედგება პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (შემდგომ, სამსახურის უფროსი), მეორადი სტრუქტურული ერთეულების (შემდეგ, განყოფილებები) და პროფესიული საჯარო მოხელეებისაგან. დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2. სამსახურის უფროსს შეიძლება ჰყავდეს აგრეთვე, მოადგილე/მოადგილეები.“; დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „3. სამსახურის განყოფილებებია:“; დადგენილების პროექტის დანართის მე-2 მუხლის პუნქტების ნუმერაცია გასწორდა და გადაინომრა თავიდან; დადგენილების პროექტის დანართის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-4 მუხლის სათაურში, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, სიტყვა: „მოადგილის“ შემდეგ, ჩაემატა ფრჩხილებში სიტყვები: „(არსებობის შემთხვევაში)“; დადგენილების პროექტის დანართის მე-4 მუხლიდან ამოღებულ იქნა 1-ლი პუნქტი (სამსახურის უფროსს შეიძლება ჰყავდეს აგრეთვე, მოადგილე/მოადგილეები), გამომდინარე აქედან, მე-4 მუხლის პუნქტები გადაინომრა თავიდან; დადგენილების პროექტის დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „ქმნის და ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფებს“; დადგენილების პროექტის დანართის მე-7 მუხლში ჩაემატა პუნქტი შემდეგი რედაქციით: „განათლების განყოფილების ფუნქციებია:“ ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ვ) წარმატებული სტუდენტების წახალისების თაობაზე, წინადადებების მომზადება;“ ხოლო, „კ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა ბოლო წინადადება: „განათლების საკითხებთან მიმართებაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებზე შესაბამისი პირების მივლინება“; დადგენილების პროექტის დანართის მე-8 მუხლში ჩაემატა პუნქტი შემდეგი რედაქციით: „კულტურის განყოფილების ფუნქციებია“; დადგენილების პროექტის დანართის მე-9 მუხლში ჩაემატა პუნქტი შემდეგი რედაქციით: „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ფუნქციებია:“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-7 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-7 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N27 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N 27**
ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულაში**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“; გასწორდა დადგენილების პროექტის დანართის მე-9 მუხლის პუნქტი ამ მუხლის სათაურის შესატყვისად და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „კაპიტალური პროექტების მონიტორინგის განყოფილების ფუნქციებია:“; დადგენილების პროექტის დანართის მე-11 მუხლის ქვეპუნქტების ნუმერაცია გასწორდა და გადაინომრა თავიდან; დადგენილების პროექტის დანართის მე-14 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი: „საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითრების განყოფილების ფუნქციებია:“), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-8 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ქალბატონი ე.არჩაია),

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მე-8 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N 29 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ **დადგენილება N 29** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი; დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“.)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, წინააღმდეგი: 1 წევრი, ქალბატონი ე.არჩაია), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-9 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N 29 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ **დადგენილება N 29** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(დადგენილების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა ფრაზა: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტი; დადგენილების პროექტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლს დაემატა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. აქვე, ფრაზის: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ წინ, ჩაემატა სიტყვები: „საქართველოს კანონის“)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-10 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში: 1 წევრმა, ქალბატონმა ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-10 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N30 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №15 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ **დადგენილება N30** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური**

თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი გასწორდა შემდეგნაირად: „3. დადგენილების №4 დანართი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხა) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით“; დადგენილების N1 დანართის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა: „განყოფილება“, გამეორების გამო; დადგენილების N2 დანართის მუხლში რიცხვი: „23“ , შეიცვალა რიცხვით: „33“; დადგენილების N2 დანართის 1-ელ პუნქტში ჩაემატა „ბ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით: „ბ) თანაშემწე“- 4 ერთეული, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა -1430 ლარი; „დ“ ქვეპუნქტი - შემდეგი რედაქციით: „დ) მძღოლი-1 ერთეული, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა -1500 ლარი; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილების N2 დანართის 1-ლი პუნქტი გადაინომრა თავიდან; „დ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დ.ა) მარკეტინგის სპეციალისტი - 1 ერთეული, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა - 1550 ლარი“; „დ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „დ.ბ) დიზაინერი -1 ერთეული, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა - 1550 ლარი“; დანართს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „6 ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურე - 10 ერთეული - თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით“; დადგენილების N4 დანართის მუხლში რიცხვი: „89“ , გასწორდა რიცხვით: „92.,“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „რის ხარჯზე მცირდება სახელფასო ფონდი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი **ი.გიორგაძე:** „რეორგანიზაციის ხარჯზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მოხდა შტატების შემცირება, რამაც წლის ბოლომდე გამოიწვია 80 ათასი ლარით შემცირება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-11 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-11 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N31 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N 31** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-12 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო**

მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ი.ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-12 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-12 საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, ი.ჟორჟოლიანის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება N 32** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-13 საკითხის - **„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის**

მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ბატონმა **ი.გიორგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-13 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-13 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის, ირაკლი გიორგაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება N 74** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-14 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის **ანგარიში** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **გ.ნიკოლაიშვილმა.**

(ანგარიში ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვთხოვ საკრებულოს პრესსამსახურს, საკრებულოს „ფეისბუქ“ გვერდზეც მოახდინოს ანგარიშის გამოქვეყნება, რომ საზოგადოებისათვის იყოს ხელმისაწვდომი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე**: „მე ერთი შეკითხვა მაქვს. წინა მოწვევის საკრებულოშიც დავაყენე ეს საკითხი ზედამხედველობის სამსახურთან. უკანონო მიშენებების, კერძოდ, აივნების მიშენების თემაზე. ეს ეხება იმ დასახლებებს, სადაც მრავალბინიანი სახლებია ბევრი. ხშირად მეუბნებიან, რომ ყოველ დილით, ახალ - ახალი მშენებლობები სოკოსავით ამოსული გვხდებაო. მე მაინტერესებს, რა სამუშაოებს აწარმოებთ უკანონო მშენებლობების მიმართულებით, ან ისეთი პრობლემები, რომელიც ბათუმში წარმოიშვა, აქაც, რომ არ განმეორდეს, აკეთებთ თუ არა ამისათვის რაიმეს. ზოგადად, ამ მიმართულებით რა აქვს თქვენს სამსახურს შესწავლილი და გაკეთებული?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **გ.ნიკოლაიშვილი:** „სამსახურს აქვს სამშენებლო განყოფილება, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს. დადიან ჯგუფები, ახდენენ შესაბამის რეაგირებებს, გამოვლენილია სამართალდარღვევის ფაქტები და დაჯარიმებული მოქალაქეები. რაც შეგვიძლია ყველაფერს მაქსიმალურად ვაკეთებთ, თუმცა, არის მიჩქმალული ადგილები და თუ ცხელი ხაზიდან არ შემოვიდა შეტყობინება, ვერ ვახერხებთ ფიზიკურად დროულ რეაგირებას. არსებობს ორი ტიპის მიშენება: არის ხუთსართულიანი სახლები, რომლებიც

აგურითაა ნაშენები, ამაზე ნებართვების გაცემა შეიძლება და ამას აკეთებს არქიტექტურის სამსახური, მაგრამ არის ცხრასართულიანი სახლები, სადაც მშენებლობები მასიურადაა და თითქმის უკანონოა ყველა. ამის პრევენცია, რომ წინასწარ რაღაც გავაკეთოთ, არ არის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება"): „პრევენცია, ალბათ, წინასწარ ვერ იქნება. პრევენციული ღონისძიება არის ის, რომ რეაგირებას როგორ გააკეთებთ, რა მოყვება უკანონო მშენებლობის ფაქტის აღმოჩენას. ნიკეას ქუჩაზე მაცხოვრებელმა დამირეკა და მითხრა, რომ ვერ ხედავთ, რა ხდება ჩვენ უბანშიო? მე იმ ქუჩაზე ხშირი მისვლა-მოსვლა არ მიწევს, მაგრამ ეს ნათქვამი დღემდე მომყვება. რა გაკეთდა ამ მიმართულებით, ეს ინფორმაცია დეტალურად მაინტერესებს. რეაგირება უკვე პრევენციაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **დ.ერემეიშვილი:** „მოგახსენებთ ქალბატონო მაია. ანგარიშში წარმოდგენილია, რამდენი ობიექტი დაჯარიმდა და რამდენი ადმინისტრაციული ოქმი შეივსო. ეს ოქმები აღსასრულებლად გადაეცემა სასამართლოს, მაგრამ არ ყოფილა დემონტაჟის ფაქტი, რომ რომელიმე ობიექტზე დემონტაჟი განხორციელებულიყოს. თვითონ მოსახლეობაც არის აქტიურად ჩართული, თვითონ გვამცნობენ უკანონო მიშენებების შესახებ. ყველა დარღვევაზე გვაქვს რეაგირება. პირველ ეტაპზე ვაძლევთ გაფრთხილებას და შემდეგ ხდება მისი დაჯარიმება, რომლის ოდენობა ძალიან გაიზარდა-6000 ლარი გახდა, თუკი ამ თანხის ამოღება არ მოხდება დროულად, თანხა ორმაგდება და ამის შემდეგ გადაეცემა სასამართლოს აღსასრულებლად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მ.რიჟამაძე:** „მართალია, სასამართლო პროცესები მიმდინარეობს, მაგრამ ამის პარალელურად მიმდინარეობს მშენებლობა. ჩემს სამაჟორიტარო ოლქშიც უამრავი ფაქტია, მით უფრო, რომ მოსახლეობის ერთი მხარე არის მომხრე, მეორე - წინააღმდეგი, პროცესი მაინც მიმდინარეობს, სანამ მშენებლობა დაიწყება, არის ფოტოები გადაღებული, ჯარიმა დაწერილი, მერიის შესაბამისი სამსახური ადგილზე მისული, სასამართლოსათვის გადაცემული, მაგრამ ამისდა მიუხედავად პროცესი მაინც არ წყდება. ანუ, ჩვენ ვერაფერს ვერ ვშვებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „ეს ძალიან ცუდი განცხადებაა, ანუ, ამით ვუბიძგებთ, მიდით ააშენეთ, ვერაფერს გიზამთო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მ.რიჟამაძე:** „ასეა სამწუხაროდ. უამრავი ფაქტი ექნება სამსახურს გადაცემული სასამართლოსათვის, მაგრამ მოქალაქე პროცესს მაინც აგრძელებს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „გამოსავალი მანდ მაინც არის, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. რიგ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როცა ხდება კორპუსებზე ე.წ. ლითონისა და ფილების კონსტრუქციების მიშენებები, რომელიც კატეგორიულად არ შეიძლება და საფრთხეს უქმნის თავად მოსახლეობას. ეს არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ ალბათ ახალი შესაძლებლობით ააიპ-ს ექნება კიდევ მეტი ბერკეტი მოქალაქეების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით იმუშაოს, აწარმოოს ასეთი კამპანიები მოსახლეობის ინფორმირების კუთხით, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა საფრთხეს შეიცავს ეს უპროექტო და უნებართვო მშენებლობები, რა თქმა უნდა, სამართლებრივი ადმინისტრირება არის მთავარი ბერკეტი, ჩვენი მოლოდინია, რომ ააიპ-ის შემთხვევაში გაიზრდება ადმინისტრირება და ეს სამსახური იქნება ბევრად მოქნილი. მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მ.სიმონიძე** (პარტია „ქართული ოცნება“): „მესმის, რომ ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია, მაგრამ ხომ შეიძლება დარჩნენ მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ ჯიუტად აშენონ და აშენონ უკანონოდ. თან ბატონმა მამუკამ ისეთი ინფორმაცია გააჟღერა, რომ შეგიძლია ააშენო უკანონოდ, მე მაინც ვერაფერს გიზამ. მე ამ თემაზე მინდა პასუხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „მუნიციპალური ბერკეტი არსებობს,. ადმინისტრაციული სამართლებრივი კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ახორციელებს ზედამხედველობის

სამსახური. დამატებით რაიმე ბერკეტი თუ შეგვიძლია შემოვიტანოთ, ვფიქრობ, უნდა გამკაცრდეს ადმინისტრირება და მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ მეტი შეგნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „მე ვიცი, რამდენიმე შემთხვევა, რომ დააჯარიმეს მოქალაქეები. მათ შორის, ჩემი ნაცნობებიც. თანხაც გადაიხადეს, მშენებლობა შეწყვეტილია და საუბარია დემონტაჟზეც. მარტო საფრთხის შემცველობაზე ხომ არაა საქმე, ბუდეებივით არის მიშენებული აივნები კორპუსებზე. რას დაემსგავსა ეს ქალაქი? ეს კორპუსები არ არის არქიტექტურული შედევრები და ეს მიშენებები მთლად საშინელებაა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „გაფრთხილების შემთხვევაში რა ვადებს აძლევთ მოქალაქეს და ჯარიმის განმეორებით გამოწერა რა ვადებში ხდება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, ბატონი **გ.ნიკოლაიშვილი:** „გაფრთხილების შემდეგ დაახლოებით ორკვირიან ვადას ვაძლევთ. ამის შემდეგ ხდება დაჯარიმება. ჩვენ გვაქვს ის შემთხვევები, რომ განვახორციელეთ დემონტაჟი. არსებობენ კანონმორჩილი მოქალაქეები და არსებობენ ისინიც, ვინც არ ემორჩილებიან.“

ზემოაღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით, **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

განკარგულების პროექტის შესახებ საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-14 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე,

გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-14 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება N75** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-15 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი 2022 წლის 25 მაისის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულაში მე-4 პუნქტი შეიცვალა მე-3 პუნქტით; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სიტყვა: „ახალგაზრდობის“, შეიცვალა სიტყვით: „კულტურის“**), ცვლილებით წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **პ.ადამაძემ**.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო პეტრე, ჩვენ ვიცით, რომ აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო. მოქალაქეებს მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ აღნიშნული სტრატეგიის ფორმირების პროცესში. დადებითი ფაქტია ის, რომ საკრებულოს წარედგინა სტრატეგიის დოკუმენტი, ეს ახალ შესაძლებლობას დაუსახავს მუნიციპალიტეტს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **პ.ადამაძე:** „ბატონო ირაკლი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის პროექტი ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით. მისი წამყვანი პარტნიორია გოეთეს ინსტიტუტი. ასევე ჩეხეთისა და დანიის კულტურის ცენტრები. მე ვისარგებლებ ამ შემთხვევით და ქუთაისის თვითმმართველობის სახელით მადლობას გადავუხდი ევროკავშირს. ძალიან დიდი მადლობა ქუთაისის საკრებულოს, სპორტის, კულტურის, ახალგაზრდობისა და განათლების კომისიას პროცესში ჩართულობისათვის. მინდა სიტყვა გადავცე ჩვენს თანა აპლიკანტს, ბატონ ზვიად მჭედლიშვილს, რომლის ჩართულობა და პროცესში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. “

ორგანიზაცია „ქრეათივ სოლუშენის“ ხელმძღვანელი, ბატონი **ზ.მჭედლიშვილი:** „მოგესალმებით მეგობრებო. ეს სტრატეგია არის ორიენტირებული 6 წელზე და რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, 2028 წელს უნდა აისახოს. ჩვენ გვაქვს 6 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელსაც დააფინანსებს ევროკავშირის პროგრამა გამარჯვების შემთხვევაში. საკმაოდ რთულია 300 ათას ევროში ჩატევა, მაგრამ ეს თანხა გაიზრდება. გამარჯვების შემთხვევაში მოვიძიებთ დამატებით თანხებს. მთავარია, რომ ჩვენ გავიმარჯვოთ, რისი იმედიც გვაქვს. დიდი მადლობა ამ ძალისხმევისათვის. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ი.ხახალეიშვილი:** „მე მინდა გამოვეხმაურო ამ მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის სიახლე არამარტო ჩვენი ქალაქისათვის, არამედ, სხვა ქალაქებისათვის, ზოგადად კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება არის სიახლე და ქუთაისი არის ამის ინიციატორი და მიმღები. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, სამუშაო ჯგუფს, ბატონ ზვიადს, საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ბექა ქებულაძეს, ბატონ პეტრეს, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ სამუშაო ჯგუფს. ეს დოკუმენტი არის ღია ფანჯარა, რომ ჩვენ ვიზრუნოთ ჩვენი ქალაქის კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებაზე. ჩვენი ქალაქის წარდგენაზე საერთაშორისო დონეზე. დღეს ჩვენ ამას მოკლებულნი ვართ. 300 ათასი ევრო ამას რომ არ ეყოფა, არ გვაქვს ამის ილუზია. ჩვენ რომ გვეჩვენებინა ჩვენი მზაობა ამ საკითხისადმი, ქუთაისის ბიუჯეტში გვიდევს 100 ათასი ლარი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტი ქუთაისის საკრებულოს და შემდეგ ევროკავშირის მიერ იქნება მოწონებული. დიდი მადლობა კულტურის სფეროს

წარმომადგენლებს, რომლებიც დღიდან პირველი შემოძახებისა, ჩვენს გვერდით იდგნენ და მჯერა, ლელოს ბოლომდე გავიტანთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.ქებულაძე:** „გარდა იმისა, რომ ეს პროექტი ხელს უწყობს კულტურისა და შემოქმედებითი პროცესების გაძლიერებას, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ახალგაზრდული პროექტების მიმართულებით. ბატონო ზვიად, მინდა მადლობა გადაგიხადოთ კომისიის სახელით. ჩვენ ყველა შეხვედრაზე ყველა საკითხს ჰქონდა გლობალური ხასიათი. ეს სტრატეგია ემსახურება ჩვენი ქალაქის მომავალს, კულტურულ განვითარებას. მადლობა სამუშაო ჯგუფს მუხლჩაუხრელი შრომისათვის. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი. ეს საკითხი განვიხილეთ კომისიურ რეჟიმში. იყო კითხვები, თუ რამდენ წლიანი პროექტია. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქალაქი უკეთეს შედეგს დადებს, ვიდრე დღეს გვაქვს და ჩვენი შრომა უფრო ნაყოფიერი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-15 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-15 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი პ.ადამაძის მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის **N76 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების შესახებ“ **განკარგულება N 76** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-16 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, ამ კომისიის თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის განცხადების ცნობად მიღებისა და მისთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-16 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-16 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ.ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე, ამ კომისიის

თავმჯდომარის, ამირან კოპალეიშვილის განცხადების ცნობად მიღებისა და მისთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ **განკარგულება N 77** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-17 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მე-17 საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მე-17 საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N12 განკარგულებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება N78** ოქმს თან ერთვის)

ამის შემდეგ, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** სხდომაზე გააკეთა **განმარტება:** „გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების თანამდებობები ვაკანტურია, დღვანდელ სხდომაზე უნდა ავირჩიოთ ამ კომისიების თავმჯდომარეები. წინადადებით შემოვდივარ, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ დღის წესრიგით განსაზღვრულ მე-18 და მე-19 საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები გავაერთიანოთ. თავდაპირველად დავასახელოთ კომისიების თავმჯდომრეობის კანდიდატურები, შემდეგ გავმართოთ ფარული კენჭისყრა ამ კომისიების თავმჯდომარეების ასარჩევად. ორივე კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრა ჩავატაროთ ერთდროულად. ფარული კენჭისყრის პროცედურას ატარებს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია. თითოეული კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატურაზე ბიულეტენები შეივსება ცალ-ცალკე. თითოეულს, იურიდიულ საკითხთა კომისიისაგან გადმოგეცემათ ორი ბიულეტენი და ერთი სპეციალური კონვერტი. ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი შეივსება თითოეული კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატზე ცალ–ცალკე.“

საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას წინადადებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრთა მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება დღის წერიგის მე-18 და მე-19 საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების გაერთიანებისა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების ფარული კენჭისყრის ერთდროულად ჩატარების თაობაზე. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე,

კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. გაერთიანდეს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის მე-18 („**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ**“) და მე-19 („**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ**“) საკითხებთან დაკავშირებული პროცედურები.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდაპირველად, დასახელებულ იქნეს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეობის კანდიდატურები, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები დასახელებული კანდიდატურების შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანის თაობაზე, რის შემდეგაც ჩატარდეს ზემოხსენებული კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების ფარული კენჭისყრა ერთდროულად.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ:

1. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების ფარული კენჭისყრისათვის ბიულეტენები მომზადდება თითოეული კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნებში მონაწილე კანდიდატურებისათვის მიცემული ხმები დაითვლება ცალკეული კანდიდატურის მიხედვით და ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგება თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-18 და მე-19 საკითხების - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ (მე-18 საკითხი)“ და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ (მე-19 საკითხი)“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ** ფრაქციის სახელით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინა ამ კომისიის წევრის, **ბაქარ მახარაძის** კანდიდატურა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა, ბატონმა **ბაქარ მახარაძემ** თანხმობა განაცხადა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრის თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** წარმოადგინა განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის, ბაქარ მახარაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“.**

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის, ბაქარ მახარაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულების პროექტი, ფრაქცია

„ქართული ოცნების“ წარდგინება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ, ამ კომისიის წევრის, ბ.მახარაძის კანდიდატურის დასახელების თაობაზე და ბ.მახარაძის წერილობითი თანხმობა ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, **თ.ჯუღელის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრის, ბაქარ მახარაძის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ **განკარგულება N79** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხ ნიჟარაძემ** ფრაქციის სახელით, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინა ამ კომისიის წევრის, **ამირან კოპალეიშვილის** კანდიდატურა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, **ამირან**

კოპალეიშვილმა თანხმობა განაცხადა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კენჭისყრის თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** წარმოადგინა განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამირან კოპალეიშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“.**

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამირან კოპალეიშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ განკარგულების პროექტი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ წარდგინება ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ, ამ კომისიის წევრის, ა.კოპალეიშვილის კანდიდატურის დასახელების შესახებ და ა.კოპალეიშვილის წერილობითი თანხმობა ოქმს თან ერთვის)

ზემოაღნიშნული პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თ.ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრის, ამირან კოპალეიშვილის კანდიდატურის შეყვანის შესახებ“ **განკარგულება N80** ოქმს თან ერთვის)

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა **ი.ხახალეიშვილმა** მადლობა გადაუხადა საკრებულოს, მერიის რეორგანიზაციისა და კულტურის განვითარების სტრატეგიის მოწონების საკითხებთან დაკავშირებით, მხარდაჭერისათვის: „საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პოზიტიურად აისახება ქალაქის განვითარებაზე, დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის. რაც შეეხება მეორე საკითხს. ხვალ არის 26 მაისი, ჩვენი ქალაქი გავა პირდაპირ ეთერში და ყველას გთხოვთ, ბავშვებთან ერთად და ჩვენთან ერთად, გაატაროთ მთელი დღე. ძალიან საინტერესო პროგრამაა. ასევე, მინდა დაესწროთ ჩვენი საკალათბურთო გუნდის თამაშს, რომელიც დაიწყება 19 საათზე სპორტის სასახლეში, დასწრება თავისუფალია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების ფარული კენჭისყრის მომზადებისა და ჩატარების მიზნით, გამოაცხადა შესვენება 30 წუთით.

შესვენების პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ ჩაატარა ქალაქ ქუთაისის მუნიციპლიტეტის

საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნები ფარული კენჭისყრით, დაითვალა ხმები, შეაჯამა ფარული კენჭისყრის შედეგები და შეადგინა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

შესვენების დასრულების შემდეგ, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** საკრებულოს სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეების არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები N1 და N2 წინამდებარე ოქმს თან ერთვის)

ამის შემდეგ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** წარმოადგინა განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ბაქარ მახარაძის არჩევის შესახებ“**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ბაქარ მახარაძის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე,

ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ბაქარ მახარაძის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ ბაქარ მახარაძის არჩევის შესახებ“ **განკარგულება N81** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თ.ჯუღელმა** წარმოადგინა განკარგულების პროექტი **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ ამირან კოპალეიშვილის არჩევის შესახებ“**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

წარმოდგენილი პროექტის შესახებ მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ ამირან კოპალეიშვილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ბ.ბრეგაძე, რ.ქვაჩაკიძე, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი, ე.არჩაია, კ.გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ ამირან კოპალეიშვილის არჩევის შესახებ“ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, თეა ჯუღელის მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ ამირან კოპალეიშვილის არჩევის შესახებ“ **განკარგულება N82** ოქმს თან ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს მე-7 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-7 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე Irakli Shengelia Digitally signed by Irakli Shengelia DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE Date: 2023.06.22 11:57:58 +04'00' ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და
ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.